

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N4 - მუდმივი საგადახდო

დავალება

1. მუდმივი საგადახდო დავალების მეშვეობით, კლიენტს უფლება აქვს მისცეს ბანკს დავალება, რომ ბანკმა აღნიშნული დავალების მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, განაცხადით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ანგარიშიდან ჩამოჭრას განაცხადით განსაზღვრული ოდენობის თანხა და გადარიცხოს ის განაცხადით განსაზღვრულ თარიღებში, მიმღების საბანკო ანგარიშზე.
2. მუდმივი საგადასახადო დავალებით სარგებლობა შესაძლებელია თუ კლიენტს გააჩნია ან უნივერსალური მიმდინარე ანგარიში ან სტანდარტული მიმდინარე ანგარიში. მუდმივი საგადახდო დავალების ფარგლებში დავალების შესასრულებლად არ გამოიყენება უნივერსალური მიმდინარე ანგარიში, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო ბარათთან, გარდა Express Card უნივერსალური ბარათთან დაკავშირებული უნივერსალური მიმდინარე ანგარიშისა.
3. მუდმივი საგადახდო დავალების ფარგლებში, გადარიცხვა განხორციელდება განაცხადით განსაზღვრულ თარიღში.
4. იმ შემთხვევაში თუ გადარიცხვა ხორციელდება ანგარიშებს შორის ან მესამე პირის ბანკში არსებულ ანგარიშზე და განაცხადით განსაზღვრული თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, გადარიცხვა შესრულდება მიმდინარე არასაბანკო დღეს, მომდევნო საბანკო დღის თარიღით.
5. იმ შემთხვევაში თუ გადარიცხვა ხორციელდება ბანკის გარეთ არსებულ ანგარიშებზე და განაცხადით განსაზღვრული თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, გადარიცხვა შესრულდება მომდევნო საბანკო დღეს.
6. მუდმივი საგადახდო დავალების ფარგლებში, ოპერაცია არ განხორციელდება, თუ შესაბამისი განაცხადით განსაზღვრულ ანგარიშზე, ოპერაციის შესრულების საბანკო დღის დასაწყისში ან/და ბანკის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში ოპერაციის შესრულების მომენტისთვის არ არის საკმარისი თანხა. დავალების შესრულებისათვის აუცილებელი თანხა ანგარიშზე განთავსებული უნდა იყოს წინა საბანკო დღეს. ამასთან, ანგარიშზე ოპერაციის შესასრულებლად საკმარისი თანხის არ არსებობის გამო ან/და ნებისმიერი, ბანკისგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზით მუდმივი საგადახდო დავალების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ოპერაციის შესრულების მცდელობა შეიძლება განხორციელდეს მუდმივი საგადახდო დავალების შესრულების საბანკო დღის განმავლობაში დამატებით კიდევ ერთხელ, თუ ბანკი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.
7. მუდმივი საგადასახადო დავალების შესასრულებლად შესაბამისი განაცხადით განსაზღვრულ ანგარიშზე საკმარისი თანხის არ არსებობის შემთხვევაში დავალება შესრულდება მომდევნო პერიოდის დადგომისას.

8. **ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე ავტომატურად შეწყვიტოს მუდმივი საგადასახადო დავალებით მომსახურება, თუ:**
 - 8.1. დაიხურა ანგარიშ(ებ)ი საიდანაც ხდებოდა მუდმივი საგადასახადო დავალებით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა/მიღება ან;
 - 8.2. მინიმუმ უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული მუდმივი საგადასახადო დავალებით მომსახურების საკომისიო.
 - 8.3. თუ შეწყდა ანაზრის ხელშეკრულება/დაიხურა ანაზარი, რომელთან დაკავშირებულ საანაზრე ანგარიშზე სრულდებოდა მუდმივი საგადახდო დავალება.
9. **მუდმივი საგადახდო დავალების ფარგლებში კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს შემდეგი ოპერაციების განხორციელება:**
 - 9.1. ეროვნული/უცხოური ვალუტის გადარიცხვა კლიენტის ანგარიშებს შორის;
 - 9.2. ეროვნული/უცხოური ვალუტის გადარიცხვა მესამე პირების საბანკო ანგარიშებზე;
 - 9.3. კონვერტაცია ანგარიშებს შორის;
 - 9.4. კლიენტის საანაზრე ანგარიშზე (გარდა ვადიანი ანაზრისა) თანხის გადარიცხვა ანაზრის შევსების მიზნით;
10. **განაცხადის პირობების ცვლილება განხორციელდება ახალი განაცხადის შევსების გზით, შესაბამისად ახალი განაცხადის დადასტურებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვლება ნებისმიერი სხვა განაცხადი რომელიც არეგულირებდა მუდმივი საგადახდო დავალების განაცხადით განსაზღვრულ ურთიერთობებს.**
11. **იმ შემთხვევაში თუ მუდმივი საგადახდო დავალების ფარგლებში კლიენტს გაცემული აქვს დავალება ანგარიშებს შორის კონვერტაციის თაობაზე, ან/და დავალება სრულდება უნივერსალური მიმდინარე ანგარიშიდან და დავალების შესრულებისთვის საჭიროა ანგარიშებს შორის კონვერტაციის განხორციელება, კონვერტაცია განხორციელდება დავალების შესრულების მომენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც დავალება გაცემულია დისტანციური საბანკო მომსახურების ფარგლებში. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ დისტანციური საბანკო მომსახურების ფარგლებში კონვერტაციისთვის განსაზღვრულია ბანკის კომერციული კურსისგან განსხვავებული შეღავათიანი კონვერტაციის კურსი, დავალება მაინც სრულდება ბანკის კომერციული კურსით.**